საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

წლის ანგარიში

2018

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ახალი ფლიგელი

❖ 2018 წლის 27 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ახალი ფლიგელი გაიხსნა.

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეთა დავების კოლეგიისათვის განკუთვნილი, ოთხსართულიანი ფლიგელის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

❖ ახალი ფლიგელი სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობას გადასასვლელი დერეფნებით უკავშირდება.

❖ სასამართლოს ახალი შენობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გახსნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე დასრულდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის მშენებლობა

- ❖ სასამართლოს ახალ შენობაში საკონფერენციო დარბაზი მოეწყო.
- ❖ მოეწყო ახალი არქივის საცავი 120 კვმ. ფართზე
- ❖ ახალი სასამართლოს შენობა აერთიანებს სხდომის დარბაზებს, ასევე სამუშაო სივრცეს მოსამართლეებისთვის და აპარატის თანამშრომლებისთვის, რომელებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით და ინვენტარით.

- ❖ შენობაში განთავსებულია სამოქალაქო საქმეთა დავების განხილვისათვის 24 სხდომათა დარბაზი, მათ შორის ერთი დარბაზი განკუთვნილია ბიზნეს დავებისათვის.
- ❖ შენობაში 40-მდე მოსამართლის სამუშაო ოთახი და სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეა. საერთო ჯამში მოეწყო სასამართლოს აპარატის თანამშრომელთათვის განკუთვნილი 28 სამუშაო ოთახი, სადაც განთავსდა 120-ზე მეტი თანამშრომელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე დასრულდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის მშენებლობა

❖ ახალ სასამართლოს შენობაში მოსამართლეთა აპარატის სამუშაო სივრცე უშუალოდ მოსამართლეთა სამუშაო ოთახების გასწვრივ მდებარეობს, რაც დროის მენეჯმენტის გათვალისწინებით რაციონალურად დაიგეგმა.

❖ ახალი შენობა საერთაშორისო სტანდარტებს სრულად შეესაბამება და აქ კომფორტული სამუშაო გარემოა შექმნილი როგორც მხარეებისთვის, ისე სასამართლოს მოხელეებისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე დასრულდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის მშენებლობა

❖ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილ ახალ ფლიგელში ყველა მოსამართლეს ახალი სამუშაო ოთახი და ინდივიდუალური სხდომათა დარბაზი აქვს.

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის მშენებლობის პროექტის ღირებულებამ შეადგინა 5 110 000 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის მშენებლობის მიმდინარეობა

❖ 2017 წლის 24 მაისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა გააფორმა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, რომელმაც იკისრა ვალდებულება 2018 წლის ნოემბერში დაესრულებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

❖ მოეწყო საპროექტო შენობის საძირკვლის გრუნტის აგრესიული წყლისგან (ნესტისგან) დასაცავად სადრენაჟე სისტემები.

❖ ქალაქ თილისის მერიის დახმარებით განხორციელდა სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე ქსელის გადატანის სამუშაოები.

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის მშენებლობის მიმდინარე სამუშაოებს პერიოდულად ათვალიერებდნენ იუსტიციის საბჭოს და სსიპ აერთო სასამართლოების დეპარტამენტის ხელმძღვანელები

თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის ტერიტორიაზე ასფალტო-ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა სამოქალაქო კოლეგიისათვის განკუთვნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის ტერიტორიაზე ასფალტო-ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაასრულა.

❖ ახალი შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ აუცილებელი იყო მის მიმდებარედ არსებული პარკინგის მოწესრიგება. პროექტი დაიგეგმა არსებული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად: მოიხსნა საფარის და გრუნტის ზედა ფენა დაახლოებით 50-70 სმ, დაიყარა და დაიტკეპნა ღორღი, პარკინგის ნიშნულების დონეზე იქნა მოყვანილი საკანალიზაციო და სანიაღვრე ჭების დონეები.

❖ სახანძრო უსაფრთხოების ნორმების მოთხოვნიდან გამომდინარე პარკინგის მთლიან პერიმეტრზე მოეწყო 6 ცალი დახურული ტიპის სახანძრო ჰიდრატი. დაიტკეპნა ასფალტობეტონის საფუძველი, დაიგო ასფალტობეტონის ორი ფენა. მეორე ფენის ასფალტის შემადგენლობაში შედის ადგეზიური დანამატები, რომელიც უზრუნველყოფს ასფალტის საფარის მაღალ ელასტიურობას და გამძლეობას.

❖ პროექტის ფარგლებში მოეწყო სინთეზური რეზინის საბურავების დამჭერები. ტერიტორია დაიხაზა და აღიჭურვა საგზაო ნიშნებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიისათვის განკუთვნილი ახალი ფლიგელის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პარალელურად, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებსაც აწარმოებდა.

❖ პროექტის ფარგლებში მთლიანად გამოიცვალა ბილიკების საფარი, დაიგო ბაზალტის ფილები და შეიცვალა ბორდიურები. ახლად აშენებული ფლიგელის მხარეს შენობის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის შედეგად დაზიანებული გამწვანების ზოლზე, დაიყარა შავი მიწა და დაიგო ახალი გაზონი.

❖ ახლად მოწყობილ გაზონში ჩამონტაჟდა სარწყავი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბალახის საჭირო დოზით მორწყვას.

❖ გამწვანების ზოლის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, მთლიან პერიმეტრზე მოეწყო 70 სმ სიმაღლის თანამედროვე დიზაინის მოაჯირი, რომელიც დამუშავდა და შეიღება. ბილიკებზე დაიდგა ახალი ანტივანდალური ქვის სკამები და ურნები, რომელიც მაქსიმალურად გამძლეა მექანიკურ და ატმოსფერულ ზემოქმედებაზე.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ასევე რეაბილიტირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოს სასამართლოს შემომღვრელი ღობე.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები აშშ იუსტიციის დეპარტამენტის მოწვევით იმყოფებოდნენ სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში

❖ ვიზიტის ერთერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა სასამართლო შენობების მშენებლობის გამოცდილების მქონე საპროექტო და სამშენებლო დაწესებულებებთან შეხვედრა და ზოგადი ესკიზური პროექტების გაცნობა (განხილვა), ტექნიკური მახასიათებლების შესწავლა, შემდგომში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების (თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა ნაგებობის მშენებლობა და სხვა) განხორციელების ხელისშეწყობის მიზნით.

❖ ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ამერიკელ კოლეგებთან: ქ. სანტა ანაში, აშშ ფედერალური სასამართლოს მოსამართლე დევიდ კარტერთან, ამავე სასამართლოს ადმინისტრაციის მოადგილე ტერი სტილთან და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელ მარსელინიო ჰეიზელვუდთან.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წარმომადგენლები ასევე შეხვდნენ ორენჯის ოლქის სასამართლოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელ დევიდ იამასაკის. დაათვალიერეს აღნიშნული სასამართლოს მოწყობა და განიხილეს ამერიკის სახელმწიფო სერვისების ადმინისტრაციის სტანდარტები სასამართლო შენობების მშენებლობისა და მოწყობის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისა და ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ახალი შენობის მშენებლობა

- იუსტიციის საბჭოს 26.03.2018წ. N1/166 გადაწყვეტილებით ს.ს.ი.პ. საერთო სასამართლოების დეპარტამენტი თბილისის საქალაქო სასამართლოს ამჟამინდელი ადგილსამყოფელის მიმდებარედ 2019 წელს გეგმავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისთვის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგისათვის განკუთვნილი ახალი შენობის მშენებლობის დაწყებას.
- შენობაში განთავსდება 30 დარბაზი (მათ შორის 5 განკუთვნილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომებისთვის) სისხლის სამართლის საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისთვის და 20 დარბაზი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისთვის.
- შენობას ექნება შესაძლებლობა ყოველდღიურად მიიღოს 1000 ვიზიტორი.

- შეიქმნება სასამართლოს 600 თანამშრომლის სამუშაო სივრცე, მათ შორის 80 მოსამართლის.
- დასრულებულია საპროექტო სამუშაოების პირველი ეტაპი - განაშენიანების რეგულირების გეგმა შეთანხმებულია ქ.თბილისის მერიასთან.

ამერიკელი მოსამართლეების და ტომას ჩარონის ვიზიტი საერთო სასამართლოების დეპარტამენტში

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა ქარჩავამ ამერიკის საელჩოს დელეგაციას უმასპინძლა. დეპარტამენტს საელჩოს მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში მაიკლ გრანტი და ტომას ჩარონი ეწვია. შეხვედრაზე განხილულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა ნაგებობის და მიმდინარე ტერიტორიის სივრცითი მოწყობის საკითხები. ასევე სტუმრები დეტალურად გაეცნენ საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურულ საკითხებს.

❖ ვიზიტის ფარგლებში ასევე მოინახულეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ახალი ფლიგელის მშენებლობა.

❖ ტომას ჩარონი ჯორჯიის შტატის კობის ოლქის მთავარი პროკურორი, ჯორჯიის საპროკურორო საბჭოს წევრი და კობის ოლქის სასამართლო ადმინისტრატორია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტომას ჩარონი სასამართლოს შენობის მშენებლობის პროექტების მართვის და სასამართლო დარბაზების მოწყობის საკითხებში გამოცდილების მქონე სპეციალისტია. შეხვედრის ბოლოს მხარეების მიერ, კვლავ გამოითქვა მომავალ თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომათა დარბაზში აკუსტიკური რეაბილიტაცია დასრულდა

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომათა დარბაზში წლების განმავლობაში აღინიშნებოდა აკუსტიკური ხარვეზები -დარბაზში გამოკვეთილი იყო ექო. ე.წ რევერბერაციის დრო აღემატებოდა 3 წამს, რაც იწვევდა საუბრის ნაკლებად გარჩევადობას და სისუფთავეს

❖ აღნიშნულ პრობლემას ვერ გაუმკლავდა გახმოვანების სისტემაც, (დინამიკები, მიკროფონები გამაძლიერებლები), ნაცვლად პრობლემის მოგვარებისა ის უფრო აძლიერებდა ექოს და მის უკუეფექტებს.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა ტექნიკური და აკუსტიკური დავალება, რომელიც გახდა ტენდერის საგანი.

❖ პრობლემის მოგვარების უმთავრესი ამოცანა იყო შემცირებულიყო ექოები (იგივე რევერბერაციის დრო), სადაც სამიზნე წერტილად აღებულ იქნა განვითარებული ქვეყნების მაგალითები. მსგავსი მოცულობის და ფუნქციონალის დარბაზებისთვის რევერბერაციის დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წამს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომათა დარბაზში აკუსტიკური რეაბილიტაცია დასრულდა

- გარდა ამისა ტენდერის ფარგლებში დაიგეგმა გახმოვანების სისტემის განახლება - მოდერნიზაცია
- რეაბილიტაციის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი იყო შენარჩუნებულიყო არსებული ინტერიერის დიზაინი.
- სწორედ ამ მოთხოვნების საფუძველზე გამოცხადდა ტენდერი.

- გამარჯვებულმა კომპანიამ წარმატებით შეასრულა სატენდერო მოთხოვნები და შედეგად რევერბერაციის დრო (ექო) შემცირდა 1,5 წამამდე, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა საუბრის გარჩევადობა

- განახლდა გახმოვანების სისტემა და შესაბამისად დარბაზის აკუსტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, რაც არის სასამართლო პროცესების სწორად და ეფექტურად წარმოების უმთავრესი პირობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურეობის ცენტრის დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურეობის ცენტრში დაზიანდა გადახურვა, რის შედეგადაც ხდებოდა წყლის ჩამოსვლა მომსახურეობის ცენტრში.

❖ აღნიშნული სახურავის რეაბილიტაცია შეუძლებელი იყო. შესაბამისად გადაწყდა მთლიანად შეცვლილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურეობის ცენტრის დაზიანებული სახურავი.

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურეობის ცენტრის შენობის გარე პერიმეტრზე მოეწყო ნესტგამძლე თაბაშირ-მუყაოს ფილები არსებულ ჭერზე.

❖ შენობის ნაწილზე თავიდან მოეწყო როგორც ბრტყელი გადახურვა- ორმაგი მაღალი ხარისხის ლინოკრომის ფენით, ასევე ნაწილი შენობისა გადაიხურა ფერადი მოთუთიებული თუნუქით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სექტორის რეაბილიტაცია

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ნაფიც მსაჯულთა სექტორის განახლება. რეაბილიტირდა ჰოლი, სათათბირო და სასადილო ოთახები, განახლდა კიბის უჯრედების მთელი პერიმეტრი.

❖ ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს დარბაზებში შეიცვალა დაზიანებული კარები, რომელთა შეკეთება ვეღარ ხერხდებოდა. რეაბილიტირდა მედიაციის ოთახის იატაკი.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მოდერნიზაცია დაასრულა

❖ განხორციელებული სამუშაოების შედეგად თბილისის საქალაქო სასამართლოში კიდევ უფრო დაიხვეწა უსაფრთხოების სტანდარტები, შეიცვალა დაზიანებული სათვალთვალო კამერები. მანდატურის სამსახურის ვიდეო - მონიტორინგის ოთახში ძველი დისპლეების ნაცვლად დამონტაჟდა თანამედროვე, დიდი ზომის და მაღალი გაფართოების მქონე მონიტორები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგენერატორო შენობის სარეაბილიტაციო სამუშოები

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოში დეპარტამენტის მიერ განხორციელდა საგენერატორო შენობის სარეაბილიტაციო სამუშოები.

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგენერატორო შენობაზე მოეწყო ახალი ტიპის სახურავი, სადაც ჩამონტაჟდა რეაბილიტირებული გენერატორი.

❖ ახალი სახურავი არის ე.წ მოძრავი რაც გულისხმობს - მონტაჟი ხორციელდება ისეთი ტექნოლოგიით, რომ მოხსნის და შემდგომი გადახურვის დროს სახურავი არ ზიანდება.

❖ თელავის რაიონულ სასამართლოს დასრულებული ფლიგელი საზეიმოდ გახსნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ და საქართველოში აშშ-ის საელჩოს მრჩეველმა სამართლებრივ საკითხებში, მაიკლ გრანტმა.

❖ კეთილმოეწყო სასამართლოს ეზო, დაიგო ასფალტის საფარი.

❖ შენობის საძირკვლის გრუნტის აგრესიული წყლისგან (ნესტისგან) დასაცავად მოეწყო სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემა

❖ თელავის რაიონული სასამართლოს მომატებულ ფართში მოეწყო ავტოსადგომი.

❖ განახლდა თელავის რაიონული სასამართლოს გარე განათების სისტემა

❖ თელავის რაიონული სასამართლოს მიშენებულ ფართში განთავსებული ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი სხდომათა დარბაზი.

❖ ახალ ფლიგელში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისთვის განკუთვნილი სივრცე აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ხელშეწყობით ამერიკული სტანდარტით მოეწყო.

❖ სასამართლოს ახალი შენობა შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა.

❖ თელავის რაიონული სასამართლოს მიშენებულ ფართში განთავსებულია ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი სათათბირო ოთახი

❖ თელავის რაიონული სასამართლოს მიშენებულ ფართში განთავსებულია ასევე ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი სველი წერტილები და სასადილო ოთახი.

❖ თელავის რაიონულ სასამართლოში არსებული დარბაზების ფართი და განლაგება არ იძლეოდა ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი დარბაზის მოწყობის საშუალებას,

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თელავის რაიონული სასამართლოს შენობისათვის დამატებითი ფართის მიშენების შესახებ.

❖ სასამართლოს ეზოს უკანა მხარეს მთლიან პერიმეტრზე მოეწყო არმირებული კედელი, რაც აუცილებლობას წარმოადგენდა, ვინაიდან სასამართლოს ეზოს უკანა მხარე დაუცველი იყო უცხო პირების შემოსვლისაგან, ასევე ხშირად ჰქონდა ადგილი ნაყარი მიწის სასამართლოს ეზოში ჩამოშლას.

სიღნაღის რაიონული სასამართლო

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

❖ პროექტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ავარიული ორსართულიანი მიშენების დემონტაჟი.

❖ დემონტირებული ფართის ადგილზე აშენდა უფრო ფართო, სამ სართულიანი მიშენება.

❖ პროექტის ფარგლებში სრულად რეაბილიტირდა სიღნაღის რაიონული სასამართლოს შენობის ფასადი, მოეწყო შენობის გარე განათების სისტემა

❖ რეაბილიტირდა საბადრაგოები
❖ სრულად გარემონტდა ე.წ. ნულოვანი სართული, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფოიეს და სამივე სართულის დერეფნებს, სამუშაო ოთახებს
❖ მთლიანად შეიცვალა შენობის დაზიანებული სახურავი.

❖ სიღნაღის რაიონული სასამართლოს ახალ აშენებულ ფართში განთავსდა ოთხი სამუშაო ოთახი, სასამართლოს არქივი, სხდომათა დარბაზი და საიდუმლო ოთახი.

გურჯაანის რაიონული სასამართლო

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით გურჯაანის რაიონულ სასამართლოში სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

❖ სასამართლო შენობის არსებული სახურავი დაზიანებული იყო. წვიმის და განსაკუთრებით ზამთარში თოვლის მოსვლის დროს შენობაში აღწევდა ატმოსფერული ნალექი.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მომზადდა შესაბამისი პროექტი

❖ მთლიანად შეიცვალა გურჯაანის რაიონული სასამართლოს დაახლოებით 500 კვ.მ დაზიანებული სახურავი თანამედროვე მაღალი ხარისხის ფერადი მოთუთიებული თუნუქით.

❖ დამონტაჟდა ახალი წყალმიმღები მილები და ძაბრები.

❖ სასამართლოს შენობის უკანა ეზოს მხარეს მოეწყო დამატებით ახალი ორფრთიანი ჭიშკარი.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა

❖ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ამუშავდა არასრულწლოვნებთან შეხვედრების სპეციალიზებული ოთახი, სადაც საოჯახო დავების განხილვისას მოსამართლე, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი არასრულწლოვანთან გასაუბრებას შესაბამის გარემოში მოახდენდნენ.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა განახორციელა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში მდებარე მანდატურის საგუშაგოს შენობის სრული რეაბილიტაცია.

❖ შეიცვალა საგუშაგო შენობის სახურავი.

❖ გარემონტდა შენობის შიდა ინტერიერი

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა ახალი სამოქალაქო კოლეგიისათვის განკუთვნილი სხდომათა დარბაზის მოწყობა.

❖ ახალი სხდომათა დარბაზი ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა და აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით.

❖ დასრულდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საბადრაგო ბლოკში სარეაბილიტაციო სამუშაოები.

❖ საკნები აღიჭურვა ვიდეო სამეთვალყურეო და თანამედროვე კონდიცირების სისტემებით.

❖ 2018 წლის 30 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ძლიერმა ქარმა პრობლემები შექმნა.

❖ ძლიერმა ქარმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სახურავი ნაწილობრივ ახადა და დააზიანა.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მოხდა მყისიერი რეაგირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

❖ სამ დღეში განხორციელდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დაზიანებული სახურავის სრული რეაბილიტაცია.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა საჩხერის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა

- ❖ პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა ცენტრალური ფასადი, პორტალი.
- ❖ განახლდა წყალშემკრები ღარები, წყალმიმღები მილები და ძაბრები.

- ❖ ნაწილობრივ შეიცვალა სასამართლოს შენობის დაზიანებული სახურავი.
- ❖ მოეწყო შშმ პირებისათვის პანდუსი.

- ❖ სასამართლოს ძირითადი შემოსასვლელი კარები გამოიცვალა და დაყენდა ახალი კარები, რომელიც არის შშმ პირებისათვის საჭიროებისათვის განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

❖ ბათუმის საქალაქო სასამართლოში განსასჯელთა/დროებით დაკავებული პირების განსათავსებლად საკნების რაოდენობა არასაკმარისია, რაც პრობლემას ქმნის სისხლის და ადმინისტრაციული საქმეთა განხილვისას დაკავებულ პირთა მოყვანის დროს.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ გადაწყდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ეზოში, შენობის უკანა მხრიდან დამატებითი ფართის მიშენების შესახებ, სადაც განთავსდება სამი საკანი.

❖ ვინაიდან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხრიდან კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მოხდა საკნების მიშენების პროექტის შეთანხმება ს.ს.ი.პ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან შემდგომი მშენებლობის განხორციელების მიზნით.

❖ ამჟამად ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს როგორც შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტირდება 7 სამუშაო ოთახი), ასევე მიშენების, რიგელების კოლონებისა და ფილის ჩასხმის მოსამზადებელი სამუშაოები. ბათუმის საქალაქო სასამართლოში საკნები, გერმანული სასამართლოების საკნების ანალოგიური პროექტით მოეწყობა.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა გორის რაიონულ სასამართლოში სარეაბლიტაციო სამუშაოები დაასრულა.

❖ გორის რაიონულ სასამართლოში სამუშაო ფართის სიმცირის გამო დამატებით საჭირო გახდა სედვიჩ-პანელის კონსტრუქციით მცირე მიშენების განხორციელების აუცილებლობა, სადაც განთავსდა არქივი.

❖ რეაბილიტირდა სასამართლოს პორტალი.

❖ გარემონტდა სასამართლოს დერეფნები

❖ გორის რაიონული სასამართლოს ძირითადი შენობიდან არქივის გადატანისას გამონთავისუფლებული ფართის ხარჯზე არსებულ სასამართლოს შენობაში დამატებით მოეწყო აპარატის თანამშრომელთათვის განკუთვნილი ორი სამუშაო ოთახი.

❖ სასამართლოს დაემატა სამოქალაქო დავებისათვის განკუთვნილი ახალი სხდომათა დარბაზი, რომელიც აღიჭურვა ავეჯით და ყველა საჭირო ინვენტარით.

❖ მოეწყო მედიაციის ოთახი

❖ რეაბილიტირდა და სათვალთვალო სისტემით აღიჭურვა საბადრაგო, რომელიც გერმანული სასამართლოების საკნების ანალოგიური პროექტით მოეწყო.

❖ გარემონტდა შემომსაზღვრელი ღობე, მოეწყო გარე განათება და ეზოში დაიგო ასფალტის ახალი საფარი

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.

❖ რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა საბადრაგოს რეაბილიტაცია.

❖ სხდომათა დარბაზში მოხდა განსასჯელის მოთავსების ადგილის შემინვა.

❖ გამოიცვალა და დამონტაჟდა ახალი შიდა ხის კიბე.

- ❖ პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა გარდაბანის მაგისტრატი სასამართლოს პორტალს.
- ❖ შეიცვალა სასამართლოს ძირითადი შესასვლელი ძველი რკინის კარები ახალი თანამედროვე დიზაინის იზოალუმინის კარით.

აბაშის მაგისტრატი სასამართლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით აბაშის მაგისტრატ სასამართლოში დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

❖ აბაშის მაგისტრატი სასამართლოს შენობის დაზიანებული სახურავიდან წვიმიანი ამინდების დროს შენობაში აღწევდა ატმოსფერული ნალექი, რის შედეგადაც ზიანდებოდა სასამართლოს ინფრასტრუქტურა.

❖ პროექტის შესაბამისად განხორციელდა სასამართლოს შენობის სახურავის მთლიანად შეცვლა თანამედროვე მაღალი ხარისხის ფერადი მოთუთიებული თუნუქით.

❖ სრულად რეაბილიტირდა საბადრაგო ბლოკი.

- განხორციელდა სასამართლოს შენობის დაზიანებული ფასადის რეაბილიტაცია.
- გარემონტდა სასამართლოს სხდომის დარბაზი, მოსამართლისა და სასამართლოს პერსონალის სამუშაო ოთახები.

- სასამართლოს შენობის ირგვლივ მთლიანად მოეწყო სარინელი, რითაც აღმოიფხვრა შენობის საძირკველში წყლის ჩადინება.

- კეთილმოეწყო სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორია, დაიგო ასფალტი.
- სასამართლოში მოეწყო გარე განათების სისტემა.
- მოეწყო შშმ პირებისთვის პანდუსი.
- რეაბილიტირდა კიბის უჯრედი.
- გარემონტდა სასამართლოს ღობე და შემოსასვლელი ჭიშკარი.

ჩხოროწყუს მაგისტრატი სასამართლო

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით ჩხოროწყუს მაგისტრატ სასამართლოში დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

❖ პროექტის ფარგლებში განხორციელდა სასამართლოს შენობის სახურავის მთლიანად შეცვლა თანამედროვე მაღალი ხარისხის ფერადი მოთუთიებული თუნუქით.

❖ განხორციელდა სასამართლოს შენობის დაზიანებული ფასადის რეაბილიტაცია.

❖ პროექტის შესაბამისად გარემონტდა სასამართლოს სხდომის დარბაზი, მოსამართლისა და სასამართლოს პერსონალის სამუშაო ოთახები, რეაბილიტირდა კიბის უჯრედი.

❖ კეთილმოეწყო სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორია, დაიგო ასფალტი;
❖ სასამართლოში მოეწყო გარე განათების სისტემა,
❖ სრულად რეაბილიტირდა საბადრაგო ბლოკი.

❖ სასამართლოს შენობის ირგვლივ მთლიანად მოეწყო სარინელი, რითაც აღმოიფხვრა შენობის საძირკველში წყლის ჩადინება.

❖ შშმ პირებისთვის მოეწყო პანდუსი.

❖ გარემონტდა სასამართლოს ღობე და შემოსასვლელი ჭიშკარი.

წალენჯიხის მაგისტრატი სასამართლო

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით წალენჯიხის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

❖ წალენჯიხის მაგისტრატი სასამართლოს შენობის დაზიანებული სახურავიდან წვიმიანი ამინდების დროს შენობაში აღწევდა ატმოსფერული ნალექი, რის შედეგადაც ზიანდებოდა სასამართლოს ინფრასტრუქტურა

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მომზადდა შესაბამისი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სასამართლოს შენობის სახურავის რეაბილიტაციას.

❖ წალენჯიხის მაგისტრატი სასამართლოს შენობის დაზიანებული სახურავი შეიცვალა მოთუთიებული თუნუქით,

❖ გარემონტდა სასამართლოს თანამშრომელთა სამუშაო ოთახები.

❖ რეაბილიტირდა სასამართლოს დერეფანი.

❖ რეაბილიტირდა სხდომათა დარბაზი.

❖ გარემონტდა წინა ფასადის ვიტრაჟი.

ქედის მაგისტრატი სასამართლო

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით ქედის მაგისტრატი სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

❖ სასამართლო შენობის არსებული სახურავი დაზიანებული იყო. წვიმის და განსაკუთრებით ზამთარში თოვლის მოსვლის დროს, შენობაში აღწევდა ატმოსფერული ნალექი, რაც აზიანებდა შიდა მოპირკეთებას.

❖ რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში შეიცვალა სახურავის კონსტრუქცია და გადახურვის საფარი.

❖ გარემონტდა სასამართლოს შენობის პორტალი და წინა ფასადი.

❖ გაიმართა სახანძრო სიგნალიზაცია.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ტყიბულის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.

❖ პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა შენობის სახურავის მთელი პერიმეტრი. სახურავის უმეტეს ნაწილზე მოეწყო მაღალღარიანი პროფილირებული ფერადი თუნუქი, ხოლო ნაწილზე ე.წ. მეტალოკრამითი. ასევე მოეწყო წყალშემკრები ღარები და წყალგამტარი მილები.

❖ გარემონტდა შესასვლელი დერეფნის იატაკი და კედლები. სრულად გარემონტდა ზედაპირული ნალექისაგან დაზიანებული ერთი ერთეული ოთახი და ნაწილობრივ გამოიცვალა ლამინირებული იატაკი.

❖ დამუშავდა და შეიღება ღობის პერიმეტრზე არსებული ლითონის კონსტრუქციები და ფერადი თუნუქის ფურცლისაგან მოეწყო წყალამრიდები.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ტერიტორიაზე ახორციელებს სარეაბილიტაციო და დამატებითი ფართის მიშენების სამუშაოებს.

❖ პროექტის მიხედვით ახალი მიშენება მიედგმება სასამართლოს არსებულ შენობის უკანა მხარეს, რომელიც იქნება სამ სართულიანი.

❖ მიშენებულ ფართში იგეგმება განთავსდეს სასამართლოს თანამშრომელთა სამუშაო ოთახები

❖ მიშენების სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს სასამართლოს შენობის ფასადის სრული რეაბილიტაცია, შეიცვლება დაზიანებული სახურავი, კეთილმოეწყობა სასამართლოს მიმდებარე ეზო.

❖ პროექტის მიხედვით განხოციელდება სასამართლოს შენობის შიდა ინტერიერის სრული რეაბილიტაცია.

საერთო სასამართლოების არქივის მშენებლობა

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით სასამართლოების არქივის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი არქივის შენობის მშენებლობა.

❖ თბილისის (ლილოს) არქივის გაფართოების მიზნით ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ აღნაგობის უფლებით დეპარტამენტს გადმოეცა 4 (ოთხი) ნაკვეთი საერთო ფართით 3311 კვ.მ.

❖ პროექტის მიზანს წარმოადგენს არსებული არქივის შენობის მიმდებარედ აშენდეს ორ სართულიანი ახალი არქივის შენობა, საპირფარეშო და მოსაცდელი თანამედროვე გეგმარებითი პრინციპების და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების გათვალისწინებით

❖ ახალი შენობა მიედგმება არსებულ არქივის საწყობს ჩრთილოეთის მხრიდან. მოეწყობა ასფალტ-ბეტონის საფარი შენობის გარშემო, რომელიც უზრუნველყოფს მისადგომს შენობის ყველა ნაწილთან (არსებული და ახალი არქივის შენობა, მოსაცდელი და საპირფარეშოები) საჭიროების შემთხვევაში.

მცხეთის რაიონული სასამართლო

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით მცხეთის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

❖ პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა სასამართლოს თავმჯდომარის და ადმინისტრაციის თანამშრომელთა სამუშაო ოთახები.

❖ გარემონტდა სხდომათა დარბაზი .

სამტრედიის რაიონული სასამართლო

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი დაკვეთით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.

❖ პროექტის ფარგლებში განხორციელდა საბადრაგოს რეაბილიტაცია.

❖ გარემონტდა საბადრაგოს დერეფანი და საკნები

❖ სასამართლოს ჰოლში იატაკი დაზიანებული იყო ხის ფესვების მიერ. შესაბამისად მოხდა ხის ფესვების ამოძირკვა და დაზიანებული იატაკის შეცვლა.

❖ გამოიცვალა დაზიანებული კარები, რეაბილიტირდა საპირფარეშოები

ხონის მაგისტრატი სასამართლო

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ხონის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა.

❖ რეაბილიტირდა ნესტისაგან დაზიანებული კედლები, კედლებზე მოეწყო მდფ-ის პანელები.

❖ დაიგო ლამინირებული იატაკი.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დელეგაციის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დელეგაცია, GIZ-ის მოწვევით და დაფინანსებით მივლინებით იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ვიზიტის მიზანი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები და კონსულტაციები. საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა განკუთვნილი იქნება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებისთვის.

❖ საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში დეპარტამენტის მხრიდან მოხდება გერმანული მხარის გამოცდილების გაზიარება.

❖ ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებული იქნა კიოლნის და დუსელდორფის სასამართლოს შენობებში არსებული ზონირებები.

❖ დელეგაცია გაეცნო მოსამართლეების და მათ აპარატის სამუშაო სივრცეების მოწყობის პრინციპებს.

❖ ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერეს მოქალაქეთა მომსახურების სივრცეები, სასამართლო სხდომათა დარბაზების შიდა გეგმარება, საბადრაგოები.

ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

❖ ვიზიტის შედეგად მიღებული გამოცდილება, მაქსიმალურად არის გაზიარებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის არქიტექტურასა და შიდა გეგმარებებში.

❖ ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა ის უსაფრთხოების ზომები, რომელსაც ადგილობრივი სასამართლოს უსაფრთხოების სამსახურები იღებენ და იყენებენ შენობების და შიგნით მყოფი ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

❖ ახალი შენობის საპროექტო სამუშაოების დასრულება 2019 წლის ზაფხულში იგეგმება, რომლის შემდეგაც შესაბამისი პროცედურების დაცვით გამოცხადდება ტენდერი, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ოფიციალური ვებ გვერდი

❖ 2018 წლის 5 მარტს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ოფიციალური ვებ გვერდის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, რეალურ სივრცეში ინფორმაციის მიღება, საერთო სასამართლოების მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, მათ შორის მიმდინარე და მომავალში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული, თუ სხვა სახის პროექტების დეტალები, შესყიდვების პროცესები, შესაძლებელია საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სერვისების გამოყენება და სხვა სახის სიახლეების, რელიზების, განცხადებების, საჯარო გამოსვლების, ფოტო და ვიდეო გალერიის გაცნობა.

❖ აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდი, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური და ვიზუალური თვალსაზრისით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, ის მაქსიმალურად გამარტივებულია და მორგებულია სხვადასხვა პორტატულ ტექნოლოგიებს, გამარტივებულია საძიებო სისტემაც.
ვებ გვერდის მისამართია http://ccd.court.ge/

ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის დანერგვა

❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტში დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამა.

❖ პროგრამის დანერგვით გამარტივდა და დაჩქარდა დოკუმენტბრუნვის პროცესი, გაუმჯობესდა საქმისწარმოების ხარისხი, დაიზოგება დრო და მატერიალური რესურსი.

უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები

❖ 2018 წელს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს თანამშრომლები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს სხვადასხვა მიმართულებით:

❖ დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ექსპლოატაციაში მიღებისა და უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე,

❖ ექსპლოატაციაში მიღებულ იქნა მცხეთის, ბორჯომის და სიღნაღის რაიონული სასამართლოების შენობები/მიშენებები;

❖ იურიდიული სამმართველო გასცემს დეპარტამენტიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას.

❖ სამმართველო მუშაობს დეპარტამენტის მონაწილეობით მიმდინარე საქმეებზე სარჩელების და შესაგებლების მომზადებაზე, წარმოადგენენ დეპარტამენტის ინტერესებს სასამართლო პროცესებზე.

❖ იურიდიული სამმართველოს თანამშრომლები ახორციელებდნენ დეპარტამენტის საქმიანობისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და დადებული ხელშეკრულებების პროექტების შედგენასა და ინსპექტირებას,

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ავტოპარკი

❖ 2018 წელს განხორციელდა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 106 ავტომობილის დაზღვევა საერთო ღირებულებით 60194,13 ლარი. აღსანიშნავია რომ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 106 ავტომობილის დაზღვევა ხორციელდება 2016 წლიდან.

❖ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტოპარკის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობის საწვავის, საქონლის და ტექნიკური მომსახურებების შესყიდვა.

❖ 2018 წწ-ის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევა დაუდგა 30 ავტომობილს შესაბამისად სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებულია დაახლოებით 34900 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო - 2018 წელი

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარატამენტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში შეადგინა 15 590 000 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრების ფარგლებში 258500 ლარი.

მიღებული მიზნობრივი გრანტი: 89 550 ლარი

წარმოგიგდგენთ ხარჯვით ნაწილს:

<u>საბიუჯეტო სახსრები</u>

- ტენდერები: მიმდინარე წელს გამოცხადდა 224 ტენდერი, მათ შორის: 171 დასრულდა დადებითი შედეგით.

- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები: გაფორმდა 326 ხელშეკრულება;
- ნორმატიული აქტით დადგენილმა გადასახდელებმა გადააჭარბა 102 000 ლარს.

<u>საკუთარი სასხსრები</u>

ტენდერები: გამოცხადდა ერთი ტენდერი

- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები: გაფორმდა 100 ხელშეკრულება.

<u>ტენდერებიდან მიღებულმა დანაზოგმა 2018 წლისთვის გადააჭარბა</u> 1 031 000 ლარს. აღნიშნული თანხა ასევე მიქცეულ იქნა სხვა შესყიდვების განსახორციელებლად

<u>სხვა დანარჩენი</u>

- **ექსპერტიზ**ა - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" - სთან სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 508 000 ლარი;
- **ფოსტა** - შპს ,,საქართველოს ფოსტასთან“ ადგილობრივი საფოსტო და საფელდეგერო მომსახურების ღირებულების თაობაზე დადებული ხელშეკრულებების ჯამმა შეადგინა 1008 000 ლარი

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს მიერ განხორციელებული პროექტები

საერთო სასამართლოების სისტემაში მიწოდებულ იქნა ახალი ტექნიკა: პორტატული კომპიუტერი (ნოუთბუქი) – 50 ცალი, ერთფუნქციური და მრავალფუნქციური პრინტერი - 232 ცალი, სამაგიდე კომპიუტერი - 250 ცალი

სასამართლო სისტემაში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების დონის ასამაღლებლად კომპიუტერულ ქსელში დამონტაჟდა ახალი თაობის **CheckPoint 15400 Next Generation Threat Prevantion Appliance** ბრენდმაუერი.

აღმოსავლეთ რეგიონის რაიონულ და მაგისტრატ სასამართლოებში მთლიანად შეიცვალა საბეჭდი ტექნიკა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანაცვლდა ასლგადამღები აპარატები. თბილისის საქალაქო სასამართლოში სრულად ჩანაცვლდა ამორტიზირებული ასლგადამღები აპარატები, ახალი თაობის, მძლავრი და მაღალი წარმადობის აპარატებით.

შვიდ სასამართლოში მოეწყო ახალი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა.

ყველა რაიონულ და საქალაქო სასამართლოში დამონტაჟდა ახალი თაობის მარშრუტიზატორები, რის შედეგადაც ცენტრალურ დატა ცენტრთან კავშირი ორი ინტერნეტ ხაზით იქნება შესაძლებელი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს ვიდეო საკონფერენციო ჩართვების სისტემა

❖ გურჯაანის რაიონულ სასამართლოში დამონტაჟდა ვიდეო საკონფერენციო ჩართვების სისტემა. რომელიც უზრუნველყოფს მოწმეების, ექსპერტების და სხვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირების დისტანციურ დაკითხვა/გამოკითხვას.

თელავის რაიონულ სასამართლოში მოეწყო აუდიო, ვიდეო და დოკუმენტების გასაშუქებელი სისტემა.

❖ თელავის რაიონულ სასამართლოს ახალ დარბაზში მოეწყო აუდიო და ვიდეო სისტემა. ასევე დამონტაჟდა დოკუმენტ კამერა, რაც საშუალებას აძლევს ყველა სხდომის მონაწილეს გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტს.

❖ **თბილისის საქალაქო სასამართლოში მოეწყო ვიდეო და დოკუმენტების გასაშუქებელი სისტემა.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოცულობით ყველაზე დიდ დარბაზში დამონტაჟდა დოკუმენტ კამერა და მოძრავი ეკრანი, რომელიც გამოიყენება დოკუმენტის ეკრანზე გასაშუქებლად, რაც საშუალებას აძლევს ყველა სხდომის მონაწილეს გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტს.

❖ საერთო სასამართლოების სისტემაში საერთო ჯამში გაიმართა 30 სასამართლო დარბაზი და აღიჭურვა აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული სისტემებით.

❖ სსიპ საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად ექსპლუატაციაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე ქოლ-ცენტრი.

დამზღვევი VPN პროექტი

- 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა კანონი სასამართლო საქმეების ელექტრონული განაწილების შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსამართლეებზე საქმეები განაწილდება შემთხვევითობის პრინციპით.
- აღნიშნულმა კანონმა განაპირობა რაიონული სასამართლოების ცენტრალურ სასერვერო ინფრასტრუქტურაზე უწყვეტი წვდომის აუცილებლობა.

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნული კანონის აღსრულება ტექნოლოგიურ ჭრილში.

- გაფორმდა ხელშეკრულება ალტერნატიულ ინტერნეტ პროვაიდერთან დამზღვევი VPN არხის მიყვანის თაობაზე. სახელმწიფო შესყიდვის წესით შეძენილ იქნა თანამედროვე ტექნიკა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა 2 ინტერნეტ ხაზით სასამართლოების მიერთება ცენტრალურ სასერვერო ინფრასტრუქტურასთან.

- დღესდღეობით აღნიშნული დამზღვევი ინტერნეტ ხაზები მიყვანილია და გამართულად მუშაობს 11 რაიონულ და საქალაქო სასამართლოში. დანარჩენ რაიონულ სასამართლოებში მსგავსი ცვლილებები განხორციელდება მიმდინარე წლის მაისის თვის ბოლომდე.

- აღსანიშნავია, რომ განხორციელებული პროექტის შედეგად ასევე მნიშვნელოვანად მცირდება ისეთი სერვისის წყვეტის რისკი, როგორიცაა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, რაც ბუნებრივია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მთლიანობაში მართლმსაჯულების აღსრულების პროცესს.

- საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის გათვალიწინებით, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია სასამართლოს განხილვაში მსჯავრდებულმა პირმა მონაწილეობა მიიღოს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინიტროს შორის შეთანხმებული ვირტუალური კერძო ელექტრონული (VPN) კავშირის მეშვეობით.

❖ საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი რაიონული სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა ფონდების სისტემატიზაციისა და სასამართლო შენობების განტვირთვის, ასევე, საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვისა და ცენტრალიზებული აღრიცხვა--აღწერის მიზნით სამივლინებო საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა 23 რაიონულ და მაგისტრატ სასამართლოში ძირითადი და სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა აღწერა-ინვენტარიზაცია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და მათი განლაგება-განთავსება არქივში შესაბამისი სასამართლოებისათვის გამოყოფილ ფონდებში. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას აღწერილი და მიღებულ იქნა 23 სასამართლოს (სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის, გარდაბნის ახალციხის, თელავის, გორის, რუსთავის დედოფლისწყაროს, კასპის, თეთრიწყაროს წალკის, ლაგოდეხის, ლენტეხის, ცაგერის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ამბროლაურის, ონის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარელის, ხაშურის, ქარელის და თბილისის, როგორც ძირითადი ასევე სხვადასხვა კატეგორიის სულ 115991 საქმე.

❖ დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის ყველა კატეგორიის 3978 საქმის ხელახალი აღწერა და შეიქმნა საძიებო სისტემის ელვერსია.

❖ დამუშავებულია ახმეტის რაიონული სასამართლოს მიერ 1941-1960წწ დასრულებულ საქმეები, მუდმივ მოქმედ საექსპერტო კომიასზე წარსადგენად დასასრულებელია ამავე რაიონის 2005 წლამდე არსებული საქმეები.

❖ კვალავ პრიორიტეტად რჩება თბილისის ძველი რაიონების, ასევე მცხეთის, ყვარელის, ბოლნისის, დმანისის და მარნეულის დამწვარი საქმეების 1935 წლიდან დაცული საქმეების დამუშავება.

❖ მიმდინარეობს თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, სიღნაღის, მცხეთის, წალკის, აბაშის, სენაკის, ფოთის მარტვილის, საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის და ბათუმის საქალაქო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შემოწმება მათი შემდგომში გასანადგურებლად გამოყოფის მიზნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 1975-1999 წლების საქმეების, ასევე თბილისის 2005 წლამდე არსებული ასევ საგარეჯოს, სიღნაღის, ქუთაისის, ყვარელის, ყაზბეგის და წალკის სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა აღწერის, საძიებო სისტემის ელვერსიის შექმნისა და ახალ სტელაჟებზე განთავსების სამუშაოები.

❖ გასანადგურებლად და მუდმივმოქმედ საექსპერტო კომისიაზე განსახილველად მზადდება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 2000 საქმე, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 საქმე , 2012-2013წწ 1023 საქმე, ჩოხატაურის 2006 წ- 200 საქმე და ხელვაჩაურის სასამართლოს 2007-2009, 2011 წწ 1129 საქმე, სულ 4352 საქმე;

❖ მიმდინარეობს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წელს დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეთა ჩაბარების მოსამზადებელი სამუშაოები.

❖ ხობში მდებარე არქივი შეივსო ზუგდიდის 2011-1013წწ, აბაშის 2008-2010წწ, მარტვილის 2007-2010წწ და სენაკის 2006-2010წწ სულ 17689 საქმით. გასანადგურებლად და მუდმივმოქმედ საექსპერტო კომიასიზე განსახილველად მზადდება აბაშის რაიონული სასამართლოს 2009-2010წწ, სენაკის 2006-2010წწ, მარტვილის 2009-2010წწ და ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის ადმინისტრაციული სამართლადარღვევის საქმეები.

❖ ხობში დამონტაჟდა 22 ახალი სტელაჟი, სადაც განთავსდა დასამუშავებლად გამოყოფილი სენაკის (ყოფილი ცხაკაიას) 1934-1970 წლების, სენაკის (ყოფილი ცხაკაის) მეორე უბნის სახალხო სასამართლოს 1940-1949წლების და ასევე ზუგდიდის 1930-1965 წლების და ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 1941-1961 წლის სულ 14132 საქმე.

❖ ქუთაისში მდებარე არქივში განხორციელდა საჩხერისა და ჭიათურის რაიონული სასამართლოს 2009-2011წწ ფონდის შევსება 3367 საქმით, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1990-2001 წწ ფონდი შეივსო სხვადასხვა კატეგორიის 27336 საქმით. სულ-30703 საქმე.

❖ ქობულეთში მდებარე არქივის შეივსო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 9387 საქმით, ქობულეთისა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოების 3018 საქმით;

❖ აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალურად გამოეყო საცავის მარჯვენა ფლიგელი, სადაც მიმდინარეობს 2005 -2016 წლის ჩათვლით საცავში დაცული საქმეების ინვენტარიზაცია, მათი განლაგება კატეგორიების მიხედვით და ერთიანი საძიებო სისტემის ელექტრონული ვერსის შექმნა.

❖ მიმდინარეობს ძველი სტელაჟების ახლით ჩანაცვლება. ზემოაღნიშნული სასამართლოს მიერ დასრულებულ საქმეთა აღწერისა და გადაადგილებების გამო ვერ დასრულდა თბილისის ძველი რაიონების საქმეთა დამუშავება, რაც 2019 წლის პრიორიტეი იქნება.

❖ პრიორიტეტულია მომავალ წელს ხობში, ქუთაისსა და ქობულეთში მდებარე არქივების ფონდი შეივსოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ყველა სასამართლოს მიერ 2013 წლის ჩათვლით დამთავრებული საქმეებით და გაგრძელდეს შენახვის ვადაგასული საქმეების დამუშავების პროცესი, რაც მნიშვნელოვან წილად გაზრდის საცავის ტევადობას.

❖ მიმდინარეობს ქუთაისის საოლქო და სააპელაციო სასამართლოს 1999-2012 წლებში ნაწარმოები საზედამხედველო წარმოების მასალებისა და სხვადასხვა დოკუმენტაციის არქივში შესანახად და გასანადგურებლად გამოყოფის პროცესი. გასანადგურებლად და მუდმივმოქმედ საექსპერტო კომისაზე განსახილველად მზადდება საჩხერის, ჭიათურის, ტყიბულის, ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწარმოები სხვადასხვა კატეგორიის 31162 საქმე.

❖ გრძელდება მარნეულის 1998 წლამდე არსებული დამწვარი საქმეების ინვენტარიზაცია და რესტავრაცია.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მუდმივმოქმედ საექსპერტო კომისიაზე 2018 წლის 29 ნოემბერს განხილულ და მოწონებულ იქნა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1966-1993 წლების სისხლის და სამოქალაქო საქმეების მუდმივად შესანახ საქმეთა 2 ანაწერი 8149 საქმეზე და 20 რაიონული (მაგისტრატი) სასამართლოს ადიგენის ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გორის, დმანისის, დუშეთის, თეთრიწყაროს, თელავის, კასპის, ლენტეხის, მარნეულის, ონის, საგარეჯოს, ქუთაისის საქალაქო, ცაგერისა და წალკის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან, სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებისა და საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებული საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ 42 აქტი 23535 საქმეზე, სულ 31684. აღნიშნული ანაწერები და აქტები გაგზავნილია ქუთაისის ცენტრალური არქივის შესაბამის საექსპერტო კომისაზე განსახილველად და მისი მოწონების და დამტკიცების შემდეგ გადაეცემა ქუთაისში მდებარე საერთო სასამართლოების არქივს, ხოლო ექსპერტიზის შედეგად გამოყოფილი გასანადგურებელი მასალები განადგურებულ იქნება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

❖ საქართველოს ეროვნული არქივის უახლოესი ისტორიის არქივის საექსპერტო- შემმოწმებელი კომისიის მიერ შეთანხმებულ იქნა დეპარტამენტის 1997-2013 წლების მუდმივად და ხანგრძლივად შესანახ საქმეთა 2 ანაწერი და დოკუმენტებისა და საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ 2018 წლის 30 ივლისის აქტი 3402 საქმეზე, რომლებიც განთავსდება ახალაშენებულ საცავში დეპარტამენტის მიერ ნაწარმოები საქმეებისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

❖ საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალური არქივიდან უნდა განხორციელდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 1975-1985 წლების დროებით შესანახი 2600 საქმის ტრანსპორტირება და მათი ხელახალი აღწერა და განთავსება შესაბამის ფონდში, რითაც შეივსება თბილისის საქალაქო სასამართლოს 1975-1999 წლების საქმეთა ფონდი.

❖ ზემოაღნიშნული საქმიანობის პარალელურად ა/წლის 29 მაისიდან დღემდე მიმდინარეობს საერთო სასამართლოების არქივის საცავში (ქთბილისი)განთავსებული 60 ერთეული დახურული სტელაჟის ახლით ჩანაცვლების ტექნიკური სამუშაოები, კერძოდ, 60 დახურული სტელაჟი ჩანაცვლდა ახალი ღია ტიპის 103 სტელაჟით, რისთვისაც საჭირო გახდა 35 რაიონული და მაგისტრატი სასამართლოების საქმეთა ხელახალი აღწერა და მათი განთავსება წლების, ფონდებისა და კატეგორიების მიხედვით. კერძოდ, ადიგენის, ასპინძის, ახმეტის, ახალციხის, ამბროლაურის, ახალგორის, აჭარის უმაღლესის, ახალქალაქის, ბორჯომის, ბოლნისის, გორის, გარდაბანის, გურჯაანის, გაგრა-გუდაუთის, გალი-გულრიფშის, დუშეთის, დმანისის, დედოფლისწყაროს, თელავის, თიანეთის, თეთრიწყაროს, კასპის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მცხეთის, მარნეულის, ნინოწმინისა, ონის, ოჩამჩირე-ტყვარჩელის, რუსთავის, სოხუმის, ხაშურის, ცაგერის და ქარელის საქმეთა ხელახალი აღწერა და მათი განთავსება წლების, ფონდებისა და კატეგორიების მიხედვით. ახალი ღია ტიპის სტელაჟების განთავსებამ ხელი შეუწყო სათავსის ტევადობის გაზრდას და უზრუნველყოფილი იქნა სასამართლო ფონდების განლაგება ანბანური სისტემით.

❖ ახალი საცავის მშენებლობის დასრულებისა და მისი მოწყობის შემდეგ იგეგმება როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წელს ნაწარმოები სამოქალაქო სამართლის და სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა, ასევე სხვადასხვა საქალაქო თუ მაგისტრატი სასამრთლოების მიერ დასრულებულ საქმეთა მიღება-ჩაბარება მათი შემდგომში შენახვის მიზნით.

2018 წლის მივლინების შედეგები:

აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას აღწერილი და მიღებულ იქნა 23 სასამართლოს როგორც ძირითადი ასევე სხვადასხვა კატეგორიის 110,143 საქმე; კერძოდ: სოხუმისა გაგრა-გუდაუთის რ/სასამართლო-2010-2016 წწ-2274 საქმე, გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო 1998-2009, 2010-2011წწ-4036 საქმე, ახალციხის რ/სასამართლო-2013-2014 წწ - 3767 საქმე, თელავის რ/სასამართლო-2011-2013წწ -8409 საქმე, გორის რ/სასამართლო- 2004-2011წწ- 21306 საქმე, რუსთავის საქალაქო სასამართლო-2013-2014წწ-12680 საქმე, დედოფლისწყაროს მაგისტრატი სასამართლო-1993-2011წწ-4316 საქმე, კასპის მაგისტრატი სასამართლო-1998-2013 წწ-3895 საქმე, თეთრიწყაროს რ/სასამართლო-2010-2012 წწ-848 საქმე, წალკის მაგისტრატი სასამართლო-2010-2012 წწ-838 საქმე, ლაგოდეხის მაგისტრატი სასამართლო-2007-2011წწ-2582 საქმე, ლენტეხის მაგისტრატი სასამართლო 2007-2012წწ-711 საქმე, ცაგერის რ/სასამართლო-2007-2012 წწ-1550საქმე, ახალქალაქის რ/სასამართლო-2009-2013 წწ-2824 საქმე, ნინოწმინდის მაგისტრატი სასამართლო-2009-2013 წწ- 623 საქმე, ამბროლაურის რ/სასამართლო-2006-2012წწ-2594 საქმე,

ონის მაგისტრატი სასამართლო-2006-2012 წწ-1316 საქმე,საგარეჯოსმაგისტრატი სასამართლო- 2007 წელი-1485 საქმე, სიღნაღის რ/სასამართლო-2010-2011წწ-1915 საქმე, ყვარელის მაგისტრატი სასამართლო-2007-2011წწ-3499 საქმე, ხაშურის რ/სასამართლო-2007-2012წწ-2684 საქმე, ქარელის მაგისტრატი სასამართლო-2008-2012წწ-424 საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლო 2016 წელი- 26015 საქმე (ადმინისტრაციული 20167 და სისხლის სამართლის 5848 საქმე),
სულ 115991 საქმე

❖ საერთო სასამრთლოების არქივი როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, ქობულეთსა და ხობში ყოველდღიურ რეჟიმში იღებენ და რეაგირებენ საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი სასამართლოებიდან, მოქალაქეთა და სახელმწიფო დაწესებულებათა მომართვებსა და წერილებზე. (სულ დღეის მდგომარეობით 22453)

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2018 წელს საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 69,53 მილიონი ლარი. საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების

დეპარტამენტის დაფინანსება შემცირდა 3,10 მილიონი ლარით და შეადგინა 66,43 მილიონი ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგი სახით:

თანხა ლარებში

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის დამტკიცებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	განხორციელებული ცვლილებები	2018 წლის დაზუსტებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	2018 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %
09 01	**საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა**	**69 530 000**	**-3 100 000**	**66 430 000**	**65 375 941**	**98.4%**
	ხარჯები	60 210 000	-2 500 000	57 710 000	57 261 564	99.2%
	შრომის ანაზღაურება	44 750 000	-2 441 000	42 309 000	42 174 526	99.7%
	საქონელი და მომსახურება	13 870 000	60 000	13 930 000	13 774 979	98.9%
	სოციალური უზრუნველყოფა	620 000	193 000	813 000	802 904	98.8%
	სხვა ხარჯები *	970 000	-312 000	658 000	509 154	77.4%
	არაფინანსური აქტივების ზრდა *	9 320 000	-600 000	8 720 000	8 114 378	93.1%

* შენიშვნა: „სხვა ხარჯების“ მუხლში არსებული ასიგნებების აუთვისებლობა გამოწვეულია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ჩასატარებელი პროცესებისთვის გათვალისწინებული თანხის აუთვისებლობით.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებში არსებული ასიგნებების აუთვისებლობა გამოწვეულია კომპიუტერული პროგრამების შეძენისათვის გამოცხადებული 3 ტენდერის შედეგით. მათ შორის 2 ტენდერის გასაჩივრების გამო, რამაც შეაჩერა ტენდერის პროცედურები და შეუძლებელი გახადა 2018 წლის სახსრების ათვისება. ასევე ახლად გამოვლენილი ოპტიმალური შეთავაზების გამო შეწყვეტილი 1 ტენდერის გამო, რაც შემდგომში მნიშვნელოვნად დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს.



საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული ქსელური ინფრაქტრუქტურის კომუტატორების შეცვლის მიზნით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობას შორის გაფორმებდა საგრანტო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით საგრანტო თანხამ შეადგინა 99,50 ათასი ლარი. გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 2018 წელს ჩაირიცხა 89,55 ათასი ლარი.

თანხა ლარებში

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	მიღებული გრანტი	განხორციელებული ცვლილებები	დაზუსტებული გეგმა	2018 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %
09 01	**საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა**	**89 550**	**0**	**89 550**	**0**	**0.0%**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	89 550		89 550		0.0%



საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება, როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან (საკუთარი სახსრებიდან). 2018 წლისათვის საკუთარი სახსრების შემოსულობები განისაზღვრა 189,20 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 200 ათასი ლარით. საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გადასახდელები გაიზარდა 98,40 ათასი ლარით და შეადგინა 298,40 ათასი ლარი.

თანხა ლარებში

კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2018 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დამტკიცებული)	განხორციელებული ცვლილებები	2018 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დაზუსტებული)	2018 წელს მიღებული შემოსავალი და გაწეული საკასო ხარჯი	შესრულება %
09 01	**საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა**					
	შემოსულობები	**189 200**	**0**	**189 200**	**308 630**	**163.1%**
	გადასახდელები	**200 000**	**98 402**	**298 402**	**157 906**	**52.9%**
	ხარჯები	105 000	12 000	117 000	96 550	82.5%
	საქონელი და მომსახურება	80 000		80 000	60 505	75.6%
	სხვა ხარჯები	25 000	12 000	37 000	36 045	97.4%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	95 000	85 000	180 000	61 356	34.1%
	ვალდებულებების კლება	0	1 402	1 402		0.0%
	ნაშთის ცვლილება	**-10 800**	**-98 402**	**-109 202**	**150 724**	



სარჩევი

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელი ---------- 3
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები ---------- 8
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები ---------- 9
- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირების ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში ---------- 10
- სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისა და ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ახალი შენობის მშენებლობა ---------- 11
- ამერიკელი მოსამართლეების და ტომას ჩარონის ვიზიტი საერთო სასამართლოების დეპარტამენტში ---------- 12
- თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომათა დარბაზის აკუსტიკური რეაბილიტაცია ---------- 13
- თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურეობის ცენტრის სახურავის რეაბილიტაცია ---------- 15
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სექტორის რეაბილიტაცია ---------- 16
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების მოდერნიზაცია ---------- 16
- თბილისის საქალაქო სასამართლოს საგენერატორო შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ---------- 17
- თელავის რაიონული სასამართლო ---------- 18
- სიღნაღის რაიონული სასამართლო ---------- 24
- გურჯაანის რაიონული სასამართლო ---------- 26
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ---------- 27
- ქუთაისის საქალაქო სასამართლო ---------- 28

- საჩხერის რაიონული სასამართლო ---------- 30
- ბათუმის საქალაქო სასამართლო ---------- 31
- გორის რაიონული სასამართლო ---------- 32
- გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო ---------- 34
- აბაშის მაგისტრატი სასამართლო ---------- 36
- ჩხოროწყუს მაგისტრატი სასამართლო ---------- 38
- წალენჯიხის მაგისტრატი სასამართლო ---------- 40
- ქედის მაგისტრატი სასამართლო ---------- 42
- ტყიბულის რაიონული სასამართლო ---------- 43
- ზუგდიდის რაიონული სასამართლო ---------- 44
- საერთო სასამართლოების არქივის მშენებლობა ---------- 45
- მცხეთის, სამტრედიის და ხონის სასამართლო ---------- 46
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დელეგაციის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ---------- 47
- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ოფიციალური ვებ გვერდი ---------- 49
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის დანერგვა ---------- 49
- უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები ---------- 50
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ავტოპარკი ---------- 50
- სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო - 2018 წელი ---------- 51
- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს მიერ განხორციელებული პროექტები ---------- 52
- საერთო სასამართლოების არქივი ---------- 56
- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსება ---------- 60